თავშესაფარში მცხოვრებ ხანდაზმულთა გუნებ-განწყობის (შფოთვა,დეპრესია) და ადაპტური ქცევის კვლევა ქართულ პოპულაციაში

ნინო გურგენიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს, საქართველოში სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმულების მდგომარეობის შესწავლა. გადავწყვიტე მეკვლია ის, თუ რამდენად ადაპტურები არიან ბენეფიციალები გარემოსთან, როგორია მათი გუნებ-განწყობის (დეპრესია, შფოთვა) დონე და განსხვავდებიან თუ არა ისინი ამ ნიშნების მიხედვით ოჯახში მცხოვრები ხანდაზმულებისგან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 70-დან 90 წლამდე ასაკის ორმოცმა ხანდაზმულმა (20 თავშესაფრის ბენეფიციალი, 20 ოჯახში მცხოვრები ხანდაზმული). კვლევის მეთოდი რაოდენობრივია. ადაპტური ქცევის შესასწავლად ვაინლანდ II-ის ადაპტური ქცევის შესაფასებელი ტესტი გამოვიყენე, დეპრესიის შესასწავლად ბეკის დეპრესიის შკალა, ხოლო შფოთვის დონის დასადგენად კი სპილბერგერის შფოთვის ტესტი. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ თავშესაფარსა და ოჯახში მცხოვრები ხანდაზმულები თითქმის თანაბრად ადაპტურები არიან გარემოსთან. განსხვავება მცირეა. თავშესაფრის ბენეფიციალები ჩამორჩებიან ოჯახში მცხოვრებ ხანდაზმულებს მხოლოდ ყოფით უნარებში. რაც შეეხება გუნებ-განწყობას, დეპრესიასა და საცხოვრებელ ადგილს შორის კორელაცია არ გამოვლინდა და დეპრესიის დონე ოჯახსა და თავშესაფარში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თანაბარი აღმოჩნდა. შფოთვის შემთხვევაში, ორივე გამოკითხული ჯგუფის პროცენტულად მეტი ნაწილი შფოთვის დაბალ საფეხურზე იმყოფება. დამოკიდებულება შფოთვასა და საცხოვრებელ ადგილს შორის არც ამ შემთხვევაში გამოვლინდა, თუმცა ხაზგასასმელია ის, რომ ოჯახში მცხოვრებ ხანდაზმულებში დაფიქსირდა მცირე ტენდენცია შფოთვისკენ. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები განზოგადების საშუალებას არ იძლევა, ვფიქრობ, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ იგი გარკვეულ შთაბეჭდილებას გვაძლევს თავშესაფარში მცხოვრები ხანდაზმულების უნარებსა თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სავარაუდოა, რომ მომავალში თავშესაფარებში ხანდაზმულთა რიცხვი გაიზარდება, რაც როგორც მსოფლიო „დაბერების“ ტენდენციიდან, ასევე საქართველოში ხანდაზმულთა მხრიდან თავშესაფრებში მიმართვის მატებიდანაც ჩანს. სწორედ ამიტომ, ეს სფერო

მეტ ყურადღებას მოითხოვს და ვთვლი, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კვლევის გაგრძელება.